საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე – კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.09.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 126/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. მ.-ს მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 06 სექტემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ე. მ.-სთვის გადაცემული თანხის დაბრუნება და მის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 მ. ც.-ს განმარტებით, ადვოკატ ე. მ.-ს ოფისში მივიდა პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით, რაზედაც ადვოკატი დათანხმა და მოითხოვა ჰონორარი 200 ლარის ოდენობით. მ. ც.-მ გადასცა შეთანხმებული ჰონორარი და დამატებით 10 ლარი ხარჯებისთვის. ადვოკატმა მ. ც.-ს აუხსნა, რომ სააპელაციო საჩივრის გასაჩივრება შეეძლოთ ბაჟის

დამადასტურებელი ქვითრის გარეშე, რაზედაც სასამართლო დაადგენდა ხარვეზს და ბაჟის თანხას ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრულ ვადაში გადაიხდიდნენ.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ე. მ.-მ დაწერა სააპელაციო საჩივარი, რამოელზეც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ხარვეზი. სააპელაციო საჩივრის ავტორს ხარვეზის აღმოსაფხვრელად განესაზღვრა 10 დღის ვადაში დასაბუთებული სააპელაციო საჩივრისა და სახელმწიფო ბაჟის თანხის - 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენა. საჩივრის ავტორმა იმავე დღეს გადასცა ადვოკატს ხარვეზის შესახებ განჩინება. ე. მ.-მ აუხსნა მ. ც.-ს, რომ სააპელაციო საჩივარს დაასაბუთებდა და მას უნდა მიეტანა ბაჟის თანხა 185 ლარი, საიდანაც 160 ლარს სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე ჩარიცხავდა, ხოლო დანარჩენს გარკვეული ხარჯებისთვის მოიხმარდა. საჩივრის ავტორმა 3 დღეში მიუტანა 185 ლარი ადვოკატს. რამოდენიმე დღეში, მ. ც.-მ მიიღო სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ განჩინება. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა მისთვის გადახდილი თანხების დაბრუნება. ადვოკატი შეჰპირდა თანხის დაბრუნებას, თუმცა დღემდე არ გადაუხდია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1. ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის ნოემბრის თვეში მიმართა მ. ც.-მ წარმომადგენელთან - დ. მ.-სთან ერთად. დს მს წარმოადგენდა მის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში. მათ ე. მ.-ს გააცნეს საქმის არსი და ვითარება, რომლის მიხედვით მ. ც.-ს მოწინააღმდეგე მხარეს, გ. ჩ.-ს სარჩელი ჰქონდა შეტანილი სასამართლოში უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, მ. ც.-მ შესაგებლით სცნო გ. ჩ.-ს სარჩელი და დავა პირველ ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის სასარგებლოდ დამთავრდა.

2.2. ადვოკატის განცხადებით, მ. ც.-სთან შეთანხმება ზეპირსიტყვიერად მოხდა, ვინაიდან მან წერილობითი ხელშეკრულების გაფორმებაზე უარი განაცხადა. ადვოკატმა წინასწარ აცნობა მ. ც.-ს ხარჯების თაობაზე და ჰონორარის სახით მოსთხოვა 300 ლარის გადახდა, თუმცა მ. ც.-მ ეტაპობრივად მხოლოდ 200 ლარი გადაუხადა, ხოლო სახელმწიფო ბაჟის თანხა საერთოდ არ გადაუცია.

2.3. ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა მ. ც.-ს, რომ სააპელაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში დავა იქნებოდა წარუმატებელი, უსარგებლო და ამით მხოლოდ ვადის გაჭიანურება მოხდებოდა. მიუხედავად ამისა, მ. ც.-მ განაცხადა, რომ სააპელაციო საჩივარი შეეტანათ ფორმალური მოთხოვნების დაუცველად, რათა რამოდენიმე თვით დრო მოეგოთ, ამასობაში კი აამუშავებდა ავტომობილს, რომელზედაც მოსარჩელე მხარეს ხაშურის რაიონულ განყოფილებაში განცხადება ჰქონდა შეტანილი ავტომობილის ძებნის თაობაზე.

2.4. ადვოკატ ე. მ.-ს განცხადებით, მ. ც.-ს არაერთგზის გაუწია ზეპირი თუ სატელეფონო კონსულტაციები და შეუდგინა სააპელაციო საჩივარი, რომელიც მ. ც.-მ წარადგინა ხაშურის რაიონულ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის გარეშე. საჩივრის ავტორისთვის ცნობილი იყო ეს გარემოება და მას პრეტენზია არ გამოუთქვამს

აღნიშნულთან დაკავშირებით. ადვოკატმა მ. ც.-ს განუმარტა, რომ როდესაც სააპელაციო სასამართლო ხარვეზს დაადგენდა, შემდეგ ემსჯელათ სასამართლოში დავის გაგრძელებაზე.

2.5. ადვოკატის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის შესახებ განჩინება ჩაბარდა მ. ც.-ს მის საცხოვრებელ მისამართზე. მას შემდეგ, რაც ადვოკატი გაეცნო განჩინებას, განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ დავა იქნებოდა სრულიად უსარგებლო და ამასთან, სააპელაციო სასამართლო განჩინებით ითხოვდა გადაწყვეტილების დასაბუთებას, რასაც ადვოკატი ვერ განახორციელებდა, ვინაიდან მ. ც.-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობის დროს აღიარებული ჰქონდა სარჩელი და არ არსებობდა რაიმე ახალი მტკიცებულება, რითაც აზრი ექნებოდა დავის გაგრძელებას. მ. ც.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს და განაცხადა, რომ ერთი თვე კიდევ ჰქონდა და შეძლებდა ამ დროში ავტომობილის ამუშავებას.

2.6. ადვოკატის განმარტებით, მ. ც. მას ბრალს დებს მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან ვ. ს.-სთან გარკვეულ კავშირზე, თუმცა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა მ. მ. და არა ვ. ს. და მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატთან. ე. მ.-ს განცხადებით, ის დაუკავშირდა ვ. ს.-ს, როგორც გ. ჩ.-სთან დაახლოებულ პირს, რათა მას ეთხოვა გ. ჩ.-სთვის მორიგებაზე წამოსვლა.

2.7. ადვოკატის განმარტებით, მასა და მ. ც.-ს შორის ურთიერთობა დასრულდა ჰარმონიულად, საჩივრის ავტორს 2017 წლის ნოემბრიდან 2018 წლის აგვისტომდე არანაირი პრეტენზია არ გასჩენია. ამასთან, 2018 წლის მაისის თვეში ადვოკატი წარმოადგენდა მის ინტერესებს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დიციპლინურ წარმოებაში, ანაზღაურების გარეშე.

2.8. ე. მ.-ს განმარტებით, მ. ც. ემუქრება მას და ითხოვს გადახდილი ჰონორარის - 200 ლარის უკან დაბრუნებას, ამასთანავე ის ბრალს დებს მოწინააღმდეგე მხარესთან კავშირში, რის გამოც ადვოკატი აპირებს სათანადო ორგანოებისთვის მიმართვას.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1. 2018 წლის 10 დეკემბერს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ე. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

5.2. საპროცესო კოლეგიამ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ ხარვეზის შეუვსებლობის საფუძვლით განუხილველად დატოვა სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი დაკმაყოფილებულია და იმ შემთხვევაში თუ საქმის განხილვის წესით კვლევისას დადგინდება, რომ ადვოკატმა კეთილსინდისიერი და კვალიფიციური მომსახურება არ გაუწია კლიენტს დარღვეული იქნება ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5.ა მუხლი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის (აპეკ) 8.5 მუხლი.

5.3. საპროცესო ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც შეძლებდა კლიენტის მიერ მიღებული თანხების განკარგვის შესახებ ინფორმაციის დადასტურებას. საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ თუ დადგინდება, რომ ადვოკატს კლიენტის თანხა აღრეული

აქვს საკუთარ ფულად სახსრებთან, დარღვეული იქნება კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულება, ხოლო თანხის დაუბრუნებლობის დადასტურების შემთხვევაში დარღვეული იქნება მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1. განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

4.1.1. მ. ც.-სა და ადვოკატ ე. მ. შორის არსებული ზეპირი შეთანხმებით, ადვოკატს მ. ც.-სთვის უნდა მოემზადებინა სააპელაციო საჩივარი, რისთხვისაც 20.11.2017 წელს გაუფორმა რწმუნებულება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- რწმუნებულება NX;
- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.2. და 2.3.)*

4.1.2. მ. ც.-მ ადვოკატ ე. მ.-ს საადვოკატო მომსახურებისათვის გადასცა 200 ლარი.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.2. და 2.2.)*

4.1.3. ადვოკატმა ე. მ.-მ მ. ც.-ს მოთხოვნით დაწერა სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

- *მხარეთა ახსნა-განმარტება (პარ. 1.3. და 2.4.)*

4.1.4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით აპელანტის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების შესახებ არ დაკმაყოფილდა; აპელანტს მ. ც.-ს სააპელაციო საჩივარზე დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა განჩინების ასლის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში 160 ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედნის და დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის წარდგენა, იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი უსწორობების მითითებით, რომლის საფუძველზეც მოითხოვდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 18.01.2018 წლის განჩინება საქმეზე N2ბ/XX-18.

4.1.5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინება გაეგზავნა მ. ც.-ს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, ხაშური, ს.-ს ქ. NX. აღნიშნული განჩინება მ. ც.-ს პირადად ჩაბარდა 2018 წლის 26 იანვარს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- თბილისის სააპელაციო სასამართლოს 14.02.2018 წლის განჩინება საქმეზე N2ბ/XX-18.

4.1.6. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 14 თებერვლის განჩინებით მ. ც.-ს სააპელაციო საჩივარი ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 08 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, დაუშვებლობის გამო დატოვებული იქნა განუხილველად, ვინაიდან აპელანტს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 18 იანვრის განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ შეუვსია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

- წლის 17 დეკემბერს, განხილვის სხდომაზე მიცემული მხარეთა ახსნა-განმარტება.

4.2. საქმეში სადავო გარემოებაა არსებობდა თუ არა მ. ც.-სა და ე. მ.-ს შორის შეთანხმება სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის გამოსწორების თაობაზე, ვინაიდან აღნიშნულზე მხარეებმა განსხვავებული პოზიცია წარმოადგინეს. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატ ე. მ.-ს უნდა შეედგინა დაზუსტებული სააპელაციო საჩივარი, ხოლო ადვოკატის განმარტებით მან მ. ც.-ს განუმარტა, რომ ვინაიდან მას პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობის დროს აღიარებული ჰქონდა სასარჩელო მოთხოვნა და არ არსებობდა რაიმე ახალი მტკიცებულება, აზრი არ ჰქონდა დავის გაგრძელებას. რაზედაც, მ. ც.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს და ადვოკატს დაეთანხმა.

4.3. ასევე, საქმეში სადავო გარემოებაა მ. ც.-ს მიერ ადვოკატ ე. მ.-სთვის სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის თანხის - 160 ლარის გადაცემა, ვინაიდან ადვოკატი აღნიშნული თანხის მიღებას უარყოფს.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. მ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ე. მ.-ს მიერ დადგენილი წესით არ ხდებოდა კლიენტისგან ჰონორარისა და სხვა თანხების მიღება და მათი დოკუმენტალური წესით აღრიცხვა, რის გამოც ადვოკატ ე. მ.-ს მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

> ადვოკატმა უნდა აწარმოოს სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტის მიერ გადახდილი საქმის წარმოების ხარჯებთან დაკავშირებით (აპეკ-ის მუხლი 8.12).
>
> ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნის საფუძველზე მიაწოდოს ანგარიშგება (აპეკ-ის მუხლი 8.13).

6.2. ადვოკატებს გააჩნიათ ფიდუციური ვალდებულებები, რომლებიც ემსახურება ერთის მხრივ კლიენტის ინტერესებს - განახორციელოს ნაკისრი მოვალეობები კანონისა და ეთიკური ვალდებულებების გათვალისწინებით, იმ რწმენით, რომ მისი მოქმედებები ემსახურება კლიენტის ინტერესებს, ხოლო მეორე მხრივ ადვოკატის მოქმედებები ემსახურება კორპორატიულ ინტერესებს, ადვოკატთა კორპუსის საანდოობისა მოპოვებას და პროფესიული ღირსების შენარჩუნებას. ფიდუციური ვალდებულებებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა მინდობილი თანხების შესახებ ხარჯთაღრიცხვის წარმოება და კლიენტისათვის წარდგენა, რაც გულისხმობს ადვოკატის მიერ კლიენტის მოთხოვნის არ არსებობის პირობებშიც ხარჯთაღრიცხვის წარმოებას. ადვოკატის მიერ ამ ვალდებულების შესრულებას პრევენციული ხასიათი აქვს მომავალში თანხასთან დაკავშირებული პრეტენზიებისგან თავის დასაცავად, ხოლო მისი შეუსრულებლობა იწვევს სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოების ვალდებულების დარღვევას.

6.3. კლიენტისთვის საქმისწარმოების ნებისმიერ ეტაპზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფინანსურ საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია, ხოლო „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის (ხელშეკრულება, საბანკო ქვითრები, საგადასახადო დავალებები, ცნობები და სხვ.) წარმოებას (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/1-17).

6.4. „ადვოკატის მიერ „სრული და ზუსტი ჩანაწერის“ წარმოების ვალდებულება მოიცავს კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოებას. აღნიშნული ვალდებულება უკავშირდება კლიენტის მოთხოვნისთანავე ანგარიშგების მოწესრიგებული სახით მიწოდების ვალდებულებას. ადვოკატს ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, რომ ის აწარმოებდა ხარჯთაღრიცხვას და კლიენტს მისთვის გადაცემული თანხის ხარჯთაღრიცხვის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა“ (ეთიკის კომისიის 2015 წლის 02 თებერვლის გადაწყვეტილება, საქმე #133/13).

6.5. მოცემულ შემთხვევაში, მ. ც.-სა და ე. მ. შორის საადვოკატო მომსახურება დასტურდება მხარეთა ზეპირი შეთანხმებით და რწმუნებულების არსებობით. მხარეებს შორის არ არსებობდა წერილობითი ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრული იქნებოდა საადვოკატო საქმიანობის საგანი ან მხარეთა უფლება-მოვალეობები, ასევე არ არსებობს მ. ც.-სგან თანხის მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი. საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე ადვოკატს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა მის მიერ ფინანსური ანგარიშგების სრული და ზუსტი ჩანაწერების წარმოება. შესაბამისად, განხილვის კომისიას მიიჩნევს, რომ ადვოკატს არ აქვს აღრიცხული კლიენტისგან ჰონორარის ან საქმესთან დაკავშირებული ხარჯებისთვის გათვალისწინებული თანხების მიღება, რომლის გათვალისწინების შემთხვევაში ადვოკატი შეასრულებდა ეთიკის კოდექსით ნაკისრ მოთხოვნებს, ამასთან მას ექნებოდა საშუალება დაეცვა თავი კლიენტის პრეტენზიებისგან.

6.6. ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ე. მ.-მ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სტანდარტი ეწარმოებინა სრული და ზუსტი ჩანაწერი კლიენტისგან მიღებულ თანხებზე.

6.7. განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ არ დასტურდება საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვით ადვოკატმა სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი არ შეავსო და არ შეადგინა დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი. შესაბამისად, განხილვის კოლეგიამ ადვოკატ ე. მ.-ს მის საადვოკატო მოქმედებების განხორციელების დროს ვერ დაადგინა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) მუხლისა და აპეკ-ის 8.5 მუხლის დარღვევა, რომლის მიხედვით „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.

6.8. ეთიკის კომისიამ მიიჩნევს, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებითა და მხარეთა ახსნა-განმარტებებით არ დასტურდება მ. ც.-სა და ადვოკატ ე. მ.-ს შორის შეთანხმების არსებობა, რომლითაც ადვოკატმა ვალდებულება იკისრა შეედგინა დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი. უფრო მეტიც ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა საჩივრის ავტორს, რომ დასაბუთებული სააპელაციო საჩივრის შედგენას ის ვერ განახორციელებდა, ვინაიდან მ. ც.-ს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მიმდინარეობის დროს აღიარებული ჰქონდა სარჩელი და არ არსებობდა რაიმე ახალი მტკიცებულება, რაზედაც მ. ც.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს. შესაბამისად, მტკიცებულებათა არარსებობის პირობებში კომისიამ ვერ დაადგინა ადვოკატ ე. მ.-ს მიერ ვალდებულების აღება შეედგინა დასაბუთებული სააპელაციო საჩივარი. მოცემულ ნაწილში ადვოკატის მიერ არ დგინდება კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევა.

6.9. ადვოკატ ე. მ.-ს მიმართ არ დადგინდა აპეკ-ის 8.15 მუხლის დარღვევა:

> „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი *“.*

6.10. „კლიენტის მიერ ფულადი თანხის მინდობა ადვოკატისათვის წარმოშობს ვალდებულებას, მინდობილი თანხა კლიენტის მითითებისამებრ, კონკრეტული დანიშნულებით გამოიყენოს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ მინდობილი თანხის გამოყენება აღარ არის საჭირო, მნიშვნელობა არ აქვს სუბიექტური თუ ობიექტური საფუძვლის გამო, ადვოკატს პროფესიული ეთიკური ვალდებულებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის ფარგლებში, ეკისრება პასუხისმგებლობა შეძლებისდაგვარად უმოკლეს დროში აცნობოს კლიენტს თანხის დაბრუნების შესახებ და პირველი შესაძლებლობისთანავე, ყოველგვარი დაყოვნებისა და კლიენტთან შეთანხმების გარეშე, მინდობილი ქონების სხვა ქმედების განსახორციელებლად გადამისამართების არიდებით, უკლებლივ დაუბრუნოს კლიენტს ამ

უკანასკნელის კუთვნილი თანხა, თუ სხვა ქონება“ (ეთიკის კომისიის 2012 წლის 02 ივლისის გადაწყვეტილება, საქმეზე #003/12).

6.11. განხილვის კოლეგიამ სარწმუნო და ცხად მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვერ დაადგინა ადვოკატ ე. მ.-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის თანხის აღება, რის საფუძველზეც ადვოკატს საჩივრის ავტორისთვის არ წარმოეშობა თანხის დაბრუნების ვალდებულება.

6.12. ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომისთვის პროპორციული დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახეს, სიმძიმეს, პროფესიისათვის მიყენებული ზიანს, ადვოკატის საქმიან რეპუტაციას, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომებს, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმას და სხვა გარემოებებს, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად.

6.13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ საქმეზე დს–შ/13–15 განმარტა, რომ „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი – კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება.“

6.14. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა იქნება ადვოკატის მიერ განხორციელებული ეთიკური ვალდებულების დარღვევის თანაზომიერი, იმ გარემოების გათვალისწინებითაც, რომ არ არსებობს გაუქარწყლებელი დისციპლინური სახდელი ადვოკატ ე. მ.-ს წანააღმდეგ და ეს მის წინააღმდეგ საჩივრით მიმართვის პირველი შემთხვევაა. ამასთანავე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ე. მ.-ს მიმართ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა უზრუნველყოფს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას, როგორიცაა: კლიენტის საქმეზე ფინანსურ დანახარჯებთან დაკავშირებული ინფორმაციის შემცველი ყველა დოკუმენტის წარმოება და თანხის გადაცემის შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.15. განხილვის კოლეგია ასევე განმარტავს, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა მხოლოდ დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს და არა პასუხისმგებლობის ან სახდელის სახეს. კერძო სარეკომენდაციო ბარათი თავისი შინაარსით შეიცავს, მხოლოდ რჩევებს და რეკომენდაციებს იმ ზომების შესახებ, რომელიც ადვოკატმა უნდა მიიღოს პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრისა და დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თავიდან აცილების მიზნით, ხოლო მისი გაცემის ფაქტი კონკრეტულ ადვოკატზე ეცნობება მხოლოდ განხილვის მხარეებს. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი ხელმისაწვდომია მხოლოდ ადვოკატისთვის.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 33-ე, 35–ე მუხლით და 38–ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N126/18 ადვოკატ ე. მ.-ს მიმართ /სიითი N/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
4. დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების გამოყენების თაობაზე გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/